საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარკლუხი

კარკლუხი (ძვ. ქ ა რ გ ლ უ ხ ი), სოფელი ისტორიულ კოლაში (კოლას ხევი), მდ. მტკვრის სათავეში, ოლთისიდან ჩრდ-ით 12 კმ-ში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). 1907 ე. თაყაიშვილმა მოინახულა კ., სადაც აღწერა იქ მდებარე ორი ეკლესია. ერთი მათგანი, შედარებით უფრო მოზრდილი, ნაშენია ნახევრად გათლილი, მოწითალო ფერის პატარა ქვებით. გეგმით მართკუთხაა, აღმ-ით საკურთხევლის აფსიდია, კამარა – ჩამონგრეული, შესასვლელი ჩრდ-იდან და სამხრ-იდან აქვს. სამხრ-იდან მიშენებულია ეკვდერი ფანჯრიანი აფსიდით და დას. კარით. მეორე პატარა ეკლესია, როგორც მას ე. თაყაიშვილი უწოდებს, მუსლიმანებს მეჩეთად გადაუკეთებიათ. მას აღმ-ით აფსიდი აღარ ჰქონდა. შესასვლელი სამხრ-იდანაა. შიგნით კედლები შელესილია. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ამ ეკლესიათაგან ერთი წმ. გიორგის სახელზე უნდა იყოს აშენებული. ჯრუჭის სახარების ერთ ფურცელზე, გვიანდელ მინაწერში ნათქვამია, რომ "თემსა მას ბანისასა ქარგლუხს" წმ. ბერმა ავქსენტიმ ააშენა წმ. გიორგის ეკლესია. ადგილ. ურწმუნო სანჯაკ ბაადინ-ბეგმა წმ. ბერი ციხეში ჩასვა, თუმცა შემდეგ გაათავისუფლა. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, აქ აღწერილია XVI–XVII სს. ამბები.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; ტაო-კლარჯეთი. ხუროთმოძღვრული ძეგლების კატალოგი, რედ. თ. ხუციშვილი, თბ., 2004.